186
1974/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2

მარტი-აპრილი

1974 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2 მარტი—აპრილი 1974 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

19. ქ. თბილისის ყველა სახეობის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის (მეტროპოლიტენის გარდა) ხელმძღვანელობის ცენტრალიზაციის შესახებ
20. ხელმძღვანელ სამეურნეო მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების საქმიანობის გაფართოების შესახებ
21. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 25 დეკემბრის № 753 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

22. პროდუქციის ხარისხისადმი სახელმწიფო და საუწყებო ზედამხედველობის ორგანოთა რესპუბლიკური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.
23. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 5 ნოემბრის № 636 დადგენილებაში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ
24. დიდი რუსი პედაგოგის კ. დ. უშინსკის სახელობის სტიპენდიის დანიშვნის შესახებ
25. საქართველოს სსრ ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების სისტემაში ავტომოყვარულ მძღოლთა მოსამზადებელი ფასიანი კურსების [illegible] წესის შესახებ
26. დ. ი. გულიას სახელობის ლიტერატურული პრემიის [illegible] ერთათვის სამკერდე ნიშნის დაწესების შესახებ

ს. მარქსის სახ. საქ. სსრ
საელმწიფო რესპუბლიკა-
ნ ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

27. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლის წესების დამტკიცების შესახებ.
28. გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ლიტერატურული პრემიის დაწესების შესახებ
29. ხანგრძლივი სარგებლობის ცალკეული სამრეწველო საქონლის ნისიად გაყიდვის პირობების ზოგიერთი ცვლილების შესახებ
30. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თბომეურნეობის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ
31. კურორტ ლებარდეს შემოგარენისა და სამთო-სანიტარიული დაცვის ზონების საზღვრების და სანიტარიულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გეგმის დამტკიცების შესახებ
32. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მშენებლობისა და საბაღო-საპარკო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ
33. აფხაზეთის სახალხო პოეტის დ. ი. გულიას სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ფუნ. 19

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

19 ქ. თბილისის ყველა სახეობის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის (მეტროპოლიტენის გარდა) ხელმძღვანელობის ცენტრალიზაციის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა ღ გ ე ნ ე ნ:

1. სამგზავრო ტრანსპორტით მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებისათვის მიზანშეწონილად ჩაითვალოს ქ. თბილისის ყველა სახეობის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის (მეტროპოლიტენის გარდა) ხელმძღვანელობის ცენტრალიზაცია.

2. მიღებულ იქნეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს წინადადება იმის შესახებ, რომ შეიქმნას სამეურნეო ანგარიშზე თბილისის სატრანსპორტო-საწარმოო გაერთიანება, რომელსაც დაექვემდებაროს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს თბილისის საავტობუსო და სატაქსმოტორო ტრანსპორტის საწარმოო გაერთიანებანი და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო.

3. დაწესდეს, რომ ახლად შექმნილი თბილისის სატრანსპორტო-საწარმოო გაერთიანება დაექვემდებარება როგორც თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს, ისე საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს.

4. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ ორი კვირის ვადაში დადგენილი წესით შეიმუშაონ და. დაამტკიცონ ახლად შექმნილი გაერთიანების დებულება და სტრუქტურა.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 12 მაისის № 484 განკარგულება.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 26 მარტი № 178

ეროვნული ბიბლიოთეკა

20 ხელმძღვანელ სამეურნეო მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების საქმიანობის გაფართოების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ გარკვეულ დადებითს მუშაობას, რაც გაწეულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 19 მაისის № 288 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიურ გამოკვლევათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან შექმნილ მართვის სისტემების სრულყოფის დარგში მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის ხელმძღვანელ მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე.

აღნიშნული კურსების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და მასში სახალხო მეურნეობის სხვა დარგების სამეურნეო ხელმძღვანელთა ჩაბმის მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. გაფართოვდეს კურსების მსმენელთა კონტინგენტი იმის ხარჯზე, რომ მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა გარდა კურსებზე ისწავლიან აგრეთვე სოფლის მეურნეობის, კავშირგაბმულობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, კომუნალური მეურნეობისა და ვაჭრობის ხელმძღვანელი მუშაკები, ამასთან მსმენელთა საერთო რაოდენობა, რომლებიც ერთდროულად იმაღლებენ კვალიფიკაციას, გადიდდეს 50 კაცამდე.

2. დაწესდეს კურსებზე სწავლების ვადად 1,5 თვე.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა:

— შეიმუშაოს და დაამტკიცოს კურსების მუშაობის პროგრამა, საშტატო განრიგი და შენახვის ხარჯები მისი სამეურნეო ანგარიშზე ფუნქციონირების გათვალისწინებით;

— ყოველწლიურად შეიმუშაოს და დაამტკიცოს საკავშირო დაქვემდებარების საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების გეგმა.

4. სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებმა, საწარმოთა და ორგანიზაციათა დირექტორებმა შეადგინონ და დაამტკიცონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მიერ შემუშავებული გეგმების შესაბამისად კურსებზე გასაგზავნ პირთა პერსონალური სიები და უზრუნველყონ მათი დროული მივლინება სასწავლებლად.

5. კურსების საქმიანობის სფეროს გაფართოებასთან და სწავლების ხანგრძლივობის გადიდებასთან დაკავშირებით კურსები დადგენილი წესის თანახმად უშუალოდ დაექვემდებაროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს და ეწოდოს მართვის სისტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მების დარგში ხელმძღვანელ სამეურნეო მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი რესპუბლიკური კურსები.

დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს მოამზადოს საჭირო მასალები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინაშე შესაბამისი შუამდგომლობის აღსაძვრელად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 24 აპრილი, № 228

21 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 25 დეკემბრის № 753 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

„რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის შემკვეთის სამსახურის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 25 დეკემბრის № 753 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. აღნიშნული დადგენილების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეიტანოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში პროექტი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს შექმნის შესახებ.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა შეიტანონ შესაბამისად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებში პროექტები ბრძანებულებებისა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოსა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს შექმნის და ამ სამმართველოს უფროსების დანიშვნის შესახებ“.

2. აღნიშნული დადგენილების მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების კაპიტალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშენებლობის სამმართველოთა უფროსებსა და მთავარ ინჟინრებს ნიშნავენ მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოების აღმასკომები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებით".

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ე. შევადრნაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
გ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1974 წ. 9 აპრილი, № 212.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

22 პროდუქციის ხარისხისადმი სახელმწიფო და საუწყებო ზედამხედველობის ორგანოთა რესპუბლიკური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება პროდუქციის ხარისხისადმი სახელმწიფო და საუწყებო ზედამხედველობის ორგანოთა რესპუბლიკური საბჭოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი, 1974 წ. 14 მარტი, № 124

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1974 წლის 14 მარტის № 124
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

პროდუქციის ხარისხისადმი სახელმწიფო და საუწყებო ზედამხედველობის ორგანოთა რესპუბლიკური საბჭოს შესახებ

1. ეს დებულება შემუშავებულია „რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის და სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მათი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 10 ივლისის № 437 დადგენილების თანახმად.

2. პროდუქციის ხარისხისადმი სახელმწიფო და საუწყებო ზედამხედველობის ორგანოთა რესპუბლიკური საბჭო არის ოპერატიულ-სათათბირო საკოორდინაციო ორგანო საზოგადოებრივ საწყისებზე.

3. საბჭო თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სადირექტივო ორგანოთა გადაწყვეტილებებით, განკარგულებებითა და სხვა ნორმატიული დოკუმენტებით პროდუქციის ხარისხის საკითხებზე, ამ დებულებით და საბჭოს სხდომებზე დამტკიცებული წლიური გეგმებით.

4. საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

5. საბჭო მოიწვევა კვარტალში ერთხელ მაინც.

6. საბჭოს ძირითადი ამოცანაა კოორდინაცია გაუწიოს პროდუქციის ხარისხისადმი ზედამხედველობის ყველა ორგანიზაციის მუშაობას და მოამზადოს რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

7. მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად საბჭო:

ა) განიხილავს პროდუქციის ხარისხისადმი სახელმწიფო და საუწყებო კონტროლის ორგანოთა მიერ მომავალი წლისათვის განსახორციელებელ შემოწმებათა წლიური და კვარტალური გეგმების პროექტებს, ხოლო საჭირო შემთხვევებში შეიმუშავებს რეკომენდაციებს მათი კორექტირებისათვის რესპუბლიკაში პროდუქციის ხარისხის კონტროლის კოორდინაციის მიზნით; დაამტკიცებს საბჭოს სამუშაო გეგმებს ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით შემოწმებათა დამტკიცებული გეგმების საფუძველზე;

ბ) შეიმუშავებს ღონისძიებებსა და წინადადებებს, რომლებიც ხელს უწყობენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და ტექნიკური დონის ამაღლებას სამამულო და საზღვარგარეთული პრაქტიკის მიღწევათა გათვალისწინებით; მოითხოვს საწარმოთა ხელმძღვანელებისაგან შექმნან ადგილებზე სახელმწიფო სტანდარტების, ტექნიკური პირობების, ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციისა და ტექნოლოგიური დისციპლინის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტებისადმი შეუწყნარებლობის ვითარება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) სისტემატურად განახორციელებს მუშაობას რესპუბლიკაში პროდუქციის ხარისხისა და სტანდარტულობის მიღწეული დონის შესაფასებლად მასალების განზოგადებისა და ანალიზისათვის;

დ) შეისწავლის ხარისხის ნიშნის მისანიჭებლად ერთიანი ატესტაციისათვის წარსადგენ ნაკეთობათა ნომენკლატურის გაფართოების შესაძლებლობებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს საქართველოს სსრ მრეწველობაში წარმოების მოცულობის გასაფართოებლად და გასადიდებლად;

ე) შეიმუშავებს შემოწმების გრაფიკებს, შეისწავლოს პროდუქციის ხარისხისა და სასტანდარტიზაციო დისციპლინის მდგომარეობას რესპუბლიკის საწარმოებში, მოისმენს სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების ხელმძღვანელთა ინფორმაციებს. შეიმუშავებს კონკრეტული საწარმოებისათვის რეკომენდაციებს სასტანდარტიზაციო დისციპლინის ასამაღლებლად და პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

ვ) განაზოგადებს გამოცდილებას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მოწინავე საწარმოთა და წარმოების ცალკეულ მოწინავეთა გამოცდილების გავრცელების საქმეში სტანდარტიზაციის მნიშვნელობის ფართო, ეფექტიანი პროპაგანდისათვის პრესის, რადიოს, ტელევიზიის, კინოს პოპულარული და სპეციალური ლექციების მეშვეობით;

ზ) ყოველკვარტალურად წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოხსენებითს ბარათებს საბჭოს საქმიანობის შედეგების შესახებ, რომლებშიც აღნიშნავს დაინტერესებული ორგანიზაციებისათვის მიცემულ რეკომენდაციებს; არა უგვიანეს 15 თებერვლისა წარადგენს წლიურ ანგარიშს, რომელიც მოსმენილ იქნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სხდომაზე.

8. საბჭოს უფლება აქვს:

ა) მოისმინოს საბჭოს სხდომებზე სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ინფორმაციები ახალი სტანდარტების, ტექნიკური პირობების დანერგვისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, პროდუქციის ხარისხის მართვის სისტემათა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ატესტაციის ერთიანი სისტემის დანერგვისათვის მუშაობის მდგომარეობის შესახებ;

ბ) დაავალოს საბჭოს წევრებს შეამოწმონ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მუშაობის მდგომარეობა სამინისტროებში, უწყებებსა და საწარმოებში, მიიღონ ამ მიზნით აღნიშნული ორგანიზაციებისაგან საანგარიშგებო მონაცემები და სხვა მასალები პროდუქციის ხარისხის შესახებ, ხოლო საჭირო შემთხვევებში შეარჩიოს პროდუქციისა და ნაკეთობათა ნიმუშები საწარმოებში, ბაზებსა და სავაჭრო ქსელში ანალიზების განსახორციელებლად, მათი ხარისხის და სახელმწიფო სტანდარტების, ტექნიკური პირობებისა და სარესპუბლიკათშორისო ტექნიკური პირობების მოთხოვნებისადმი შესაბამისობის დასადგენად; მოისმინოს საბჭოს სხდომებზე შემოწმებათა მასალები;

გ) გაუგზავნოს თავისი რეკომენდაციები პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე უშუალოდ დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 5 ნოემბრის № 636 დადგენილებაში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახმშენის, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს წინადადება და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 5 ნოემბრის № 636 დადგენილების 1 პუნქტის „გ" ქვეპუნქტში წინადადებას „იმ სახლების გაფართოებისა და რეკონსტრუქციის სამშენებლო სამუშაოების წარმოება", დაემატოს წინადადება „აგრეთვე სიძველისაგან ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სახლების დანგრევა და ახლის აშენება", შემდეგ როგორც ტექსტშია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 14 მარტი. № 125

24 დიდი რუსი პედაგოგის კ. დ. უშინსკის სახელობის სტიპენდიის დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დიდი რუსი პედაგოგის, დემოკრატისა და ჰუმანისტის კ. დ. უშინსკის დაბადების 150 წლისთავის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით დაწესდეს მისი სახელობის ორი სტიპენდია (თითო 65 მანეთი) — ერთი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ხოლო მეორე—თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის წარჩინებული სტუდენტებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსათვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 22 მარტი, № 138

ეროვნული ბიბლიოთეკა

25 საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების სისტემაში ავტომოტომოყვარულ მძღოლთა მოსამზადებელი ფასიანი კურსების მოწყობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 29 ოქტომბრის № 639 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების დებულების მე-4 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის შესაბამისად ნება დაერთოს საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალურ საბჭოს გახსნას ქ. თბილისში, ქუთაისში, ტყვარჩელსა და გურჯაანში ავტომოტომოყვარულ მძღოლთა მოსამზადებელი კურსები სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე კურსების მსმენელთა მიერ შეტანილი თანხების ხარჯზე.

2. კურსებზე მიღებულ იქნენ მოქალაქეები — საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრები სწავლების მთელი დამტკიცებული პროგრამის მიხედვით მათი მომზადების მიზნით.

3. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების სისტემის ორგანიზაციებში ავტომოტომოყვარულ მძღოლთა სპეციალურ კურსებზე მომზადებული პირები დაუშვას გამოცდებზე სახელმწიფო ავტოინსპექციაში ავტომოტომოყვარული მძღოლის მოწმობის მისაღებად.

2. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გამოყოს 1974 წლის 1 ივნისიდან კურსების უფროსის თითო საშტატო ერთეული ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ყოველი საქალაქო (რაიონული) ორგანიზაციისათვის, რომელთანაც იქმნება ავტომოტომოყვარულ მძღოლთა მოსამზადებელი კურსები, შესაბამისი თვიური სარგოს დაწესებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 28 მარტი, № 149

ეროვნული ბიბლიოთეკა

26 დ. ი. გულიას სახელობის ლიტერატურული პრემიით დაჯილდოებულ პირთათვის სამკერდე ნიშნის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება და დაწესდეს სამკერდე ნიშანი იმ პირთათვის, რომელთაც მიენიჭათ გამოჩენილი აფხაზი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი იოსების ძე გულიას სახელობის ლიტერატურული პრემია.

2. დამტკიცდეს აღწერილობა სამკერდე ნიშნისა დ. ი. გულიას გამოსახულებით.

3. აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ შეიმუშაოს და დაამტკიცოს დებულება დ. ი. გულიას სახელობის ლიტერატურული პრემიის მინიჭებისა და სამკერდე ნიშნის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 28 მარტი № 151

№ 2
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1974 წლის 28 მარტის № 151
დადგენილებით

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა

დ. ი. გულიას სახელობის ლიტერატურული პრემიით დაჯილდოებულ პირთა სამკერდე ნიშნისა

დ. ი. გულიას სახელობის ლიტერატურული პრემიით დაჯილდოებულ პირთა სამკერდე ნიშანი წარმოადგენს 25 მილიმეტრი დიამეტრის წრეხაზს, რომელზეც რელიეფურად გამოსახულია დ. ი. გულიას თავის პროფილი.

მანძილი წრეხაზის ნაწიბურიდან გამოსახულებამდე ზემოდან და გვერდებიდან შეადგენს 5 მილიმეტრს, ხოლო გამოსახულება ქვედით ეყრდნობა ნაწიბურს.

სამკერდე ნიშანი მზადდება ვერცხლისფერი ლითონისაგან, დ. ი. გულიას თავის რელიეფი — ყვითელი ლითონისაგან.

ნიშნის უკანა მხარეს წრიულად არის რელიეფური წარწერა: „დ. გულიას სახელობის ლიტერატურული პრემია“. ნიშანი მაგრდება მკერდის მარჯვენა მხარეს დაჭდეული წკირით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

27 საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო ქსელში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლის წესების დამტკიცების შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტმა დამტკიცეს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლის ახალი ტიპობრივი წესები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლის თანდართული ახალი წესები.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 მარტის № 147 დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო და კოოპერაციულ საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლის წესების დამტკიცების შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 17 ნოემბრის № 682 დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო და კოოპერაციულ საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლის წესების დამატების შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 6 ივლისის № 385 დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო და კოოპერაციულ საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლის იმ წესებში დამატებათა შეტანის შესახებ, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 მარტის № 147 დადგენილებით“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 8 აპრილი № 175

ეროვნული ბიბლიოთეკა

ДАМТКИЦЕБУЛИА
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1974 წლის 8 აპრილის № 175
დადგენილებით

წ ე ს ე ბ ი

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლისა

I. იმ სამრეწველო საქონლის გამოცვლის წესი, რომლისთვისაც დაწესებულია საგარანტიო ვადები

1. თუ საცალო სავაჭრო ქსელში შეძენილ სამრეწველო საქონელს, რომლისთვისაც დაწესებულია საგარანტიო ვადები, აღმოაჩნდა ფარული დეფექტები ამ ვადების გასვლამდე, მყიდველის მოთხოვნით იგი გამოიცვლება ახალი საქონლით მაღაზიაში ყიდვის ადგილზე ანდა სახელმწიფო ან კოოპერაციული ვაჭრობის სხვა მაღაზიაში მყიდველის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (იმ შემთხვევაში, თუ საქონელი შეძენილია იმ დასახლებული პუნქტის ფარგლებს გარეთ, რომელშიც მყიდველი ცხოვრობს) შემდეგი წესით:

ა) შავ-თეთრი გამოსახულების ტელევიზორები, კომბინირებული რადიოდანადგარები, რადიოლები, რადიომიმღებები, მაგნიტოფონები, ელექტროფონები და სხვა რადიოაპარატები შემდეგ შემთხვევებში:

თუ დამამზადებელ საწარმოს ან საგარანტიო რემონტის სახელოსნოს არ შეუძლია მყიდველის მიმართვიდან 10 დღის განმავლობაში გამოასწოროს გამოვლინებული უწესივრობანი ნაკეთობის დაყენების ადგილზე ან სახელოსნოში;

თუ ერთი რთული რემონტის შემდეგ, რაც დაკავშირებული არ არის ვაკუუმური ნაკეთობების (რადიონათურები, კინესკოპები და სხვ.), ნახევარგამტარიანი ხელსაწყოების, კონდენსატორებისა და რეზისტორების უწესივრობასთან, ეს საქონელი საჭიროებს ასეთივე სირთულის განმეორებითს რემონტს;

თუ ორი რემონტის შემდეგ, რაც დაკავშირებულია ცუდი ხარისხის ვაკუუმური ნაკეთობების, კონდენსატორების, რეზისტორებისა და ნახევარგამტარიანი ხელსაწყოების შეცვლასთან ან რემონტთან, ეს საქონელი კვლავ საჭიროებს რემონტს.

მცველების შეცვლა აპარატის რემონტად არ ჩაითვლება;

ბ) პიანინოები, როიალები, ველოსიპედები, სარეცხი მანქანები, უნივერსალური სამზარეულო მანქანები, საკერავი მანქანები, კონდიციონერები და სხვა მსხვილგაბარიტული ნაკეთობანი და ელექტრომრიცხველები — თუ დამამზადებელი საწარმო ან საგარანტიო რემონტის სახელოსნო არ აღმოფხვრის დეფექტებს მყიდველის მიმართვიდან 10 დღის განმავლობაში, აგრეთვე, თუ ერთი რემონტის შემდეგ ეს ნაკეთობანი კვლავ საჭიროებენ რემონტს;

გ) ბაიანები, აკორდეონები, გარმონები, კინოკამერები, კინოპროექტორები, ფოტოაპარატები, საათები, მტვერსასრუტები, იატაკსაწმენდები, ძაბვის სტაბილიზატორები, ავტოტრანსფორმატორები, ელექტროსამართებლები და სხვა ელექტროხელსაწყოები — თუ დამამზადებელი საწარმო ან საგარანტიო რე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონტის სახელოსნო არ აღმოფხვრის დეფექტებს მყიდველის მიმართვიდან 7 დღის განმავლობაში, აგრეთვე, თუ ერთი რემონტის შემდეგ ეს საქონელი კვლავ საჭიროებს რემონტს.

ოქროს კორპუსიანი საათის უწესივრობისას გამოიცვლება მხოლოდ საათის მექანიზმი და გაიცემა გამოცვლილი მექანიზმის ახალი პასპორტი;

დ) მსუბუქი ავტომობილები, მოტოციკლები, მოტოროლერები, მოპედები, ფერადი ტელევიზორები, საყოფაცხოვრებო მაცივრები, ნავის მოტორები — თუ დამამზადებელი საწარმო ან საგარანტიო რემონტის სახელოსნო ტექნიკურად წესიერ მდგომარეობაში არ მოიყვანს ამ ნაკეთობებს იმ დროიდან ორი კვირის ვადაში, რაც მყიდველისაგან მიღებულია განცხადება რემონტის საჭიროების შესახებ, აგრეთვე, თუ ორი რთული რემონტის შემდეგ ეს ნაკეთობანი კვლავ საჭიროებენ რემონტს.

მსუბუქი ავტომობილების გამოცვლა წარმოებს იმ საექსპერტო კომისიის დასკვნით, რომელსაც მაღაზია ქმნის დამამზადებელი ქარხნის წარმომადგენლის, ავტომეურნეობის წარმომადგენლის ან სასაქონლო ექსპერტიზების ბიუროს ექსპერტის მონაწილეობით;

ე) ავეჯი — თუ მაღაზია არ აღმოფხვრის დეფექტებს მყიდველის განცხადებიდან ერთი კვირის ვადაში.

მაღაზია მოვალეა გამოცვალოს ავეჯი იმავე არტიკულის ნაკეთობით, ან მყიდველის თანხმობით შეცვალოს ავეჯი სხვა არტიკულების ნაკეთობებით, ანდა დაუბრუნოს მყიდველს გადახდილი ფულადი თანხა.

თუ საჭირო გახდა ავეჯის გარნიტურში შემავალი ცალკეული საგნების გამოცვლა, მაშინ უნდა გამოიცვალოს მთელი გარნიტური. ავეჯის გარნიტურის ცალკეული საგნები შეიძლება გამოიცვალოს მყიდველის თანხმობით.

მაღაზიას შეუძლია მყიდველის თანხმობით სასაქონლო ექსპერტიზების ბიუროს დასკვნის საფუძველზე ჩამოაფასოს ცუდი ხარისხის ავეჯი და გადაუხადოს მყიდველს ფასის განსხვავება ისე, რომ ჩამოფასების თანხა მიაკუთვნოს დამამზადებელ საწარმოს.

2. 1-ლი პუნქტის „ა“ (ვაკუუმურ ნაკეთობათა, ნახევარგამტარიან ხელსაწყოთა, კონდენსატორთა და რეზისტორთა უწესივრობასთან დაკავშირებული საქონლის მწყობრიდან გამოსვლის გარდა), „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი საქონელი გამოიცვლება შეძენის მომენტიდან პირველი 30 დღის განმავლობაში ამ ქვეპუნქტებში აღნიშნული პირობების დაუცველად, თუ მათ აღმოაჩნდათ დეფექტები, რომლებიც წარმოიშვა არა მყიდველის მიზეზით და დადასტურებულია საგარანტიო რემონტის სახელოსნოს ცნობით.

3. ამ წესების 1-ლ პუნქტში ჩამოთვლილი საქონელი მყიდველის არჩევით გამოიცვლება იმავე მარკის (არტიკულის) ახალი ნაკეთობებით. ან სხვა მარკის ისეთივე ნაკეთობებით ფულადი თანხის შესაბამისი გადაანგარიშებით, ანდა მყიდველს აუნაზღაურდება მის მიერ გადახდილი ფულადი თანხა. ანგარიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორება ამ შემთხვევებში ხდება საქონლის ყიდვისას გადახდილი ფულადი თანხის მიხედვით.

მყიდველებს, რომლებსაც საქონელი ნისიად მიეყიდათ, ფულადი თანხა უნაზღაურდებათ საქონლის დაბრუნების მომენტისათვის დაფარული კრედიტის ოდენობით.

4. თუ მაღაზიაში ცუდი ხარისხის საქონლის დაბრუნების მომენტში არა აქვთ საჭირო ნაკეთობანი გამოსაცვლელად, ხოლო მყიდველი უარს ამბობს დაიბრუნოს ფულადი თანხა, მაღაზია ვალდებულია მიიღოს საქონელი და მყიდველს მისცეს ქვითარი. შესაბამისი საქონლის მიღებისთანავე მაღაზია ვალდებულია შეატყობინოს ეს მყიდველს, ხოლო თუ მყიდველი უარს ამბობს მიიღოს საქონელი, მას უბრუნებენ ფულს.

5. ამ წესების 1-ლი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგარანტიო რემონტის სახელოსნო გასცემს ცნობას უწესივრო ნაკეთობის ახლით შეცვლის შესახებ (გარდა მსუბუქი ავტომობილისა) სამ ცალად, რომელთაგან ორი მიეცემა მყიდველს, ხოლო ერთი რჩება სახელოსნოში (ცნობის ფორმა თან ერთვის).

6. ზემოაღნიშნული საქონლის ხარისხის თაობაზე მყიდველთა პრეტენზიების აღრიცხვისათვის საგარანტიო რემონტის სახელოსნოები აწარმოებენ სპეციალურ ჟურნალს, რომელშიც შეაქვთ შემდეგი მონაცემები: მყიდველის გვარი და საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პრეტენზიის არსი და შემოსვლის თარიღი, პრეტენზიის გამო მიღებული გადაწყვეტილება.

7. ცუდი ხარისხის საქონელს, რომლისთვისაც დაწესებულია საგარანტიო ვადები, მაღაზია დაუყოვნებლივ გამოცვლის (გამონაკლისი დაიშვება მყიდველის თანხმობით). ამასთან მყიდველმა უნდა წარადგინოს ნაკეთობის პასპორტი (საგარანტიო ტალონი) და საგარანტიო რემონტის სახელოსნოს ცნობა ორ ცალად. საქონლის გამოცვლის შემდეგ მაღაზია აღნიშნულ დოკუმენტებს გაუგზავნის დამამზადებელ ქარხანას. საგარანტიო რემონტის სახელოსნოს ცნობის ერთი ცალი რჩება მაღაზიაში.

8. საგარანტიო ვადის დაწყება გამოიანგარიშება იმ დღიდან, როცა ნაკეთობა გაიყიდა საცალო სავაჭრო ქსელის მეშვეობით. საქონლის გამოცვლისას საგარანტიო ვადა ხელახლა გამოიანგარიშება გამოცვლის დღიდან.

ის დრო, რომლის განმავლობაში ნაკეთობა შესაკეთებლად იყო გაჩერებული, დაწესებულ საგარანტიო ვადაში არ შედის.

საგარანტიოვადიანი ნაკეთობებისათვის, რომელთა რემონტი მოცემულ ადგილზე არ წარმოებს (საგარანტიო რემონტის სახელოსნოს არარსებობა), ცუდი ხარისხის საქონლის გამოცვლის საფუძველს წარმოადგენს სასაქონლო ექსპერტიზების ბიუროს ექსპერტის დასკვნა.

მაღაზია ექსპერტს იწვევს მყიდველის განცხადების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში.

9. მსხვილგაბარიტული ნაკეთობების (წონა — 10 კილოგრამზე მეტი) მიტანას შესარემონტებლად და გამოსაცვლელად დამამზადებელ საწარმოში, საგარანტიო რემონტის სახელოსნოებში ან მაღაზიებში და უკან დასახლებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუნქტის ფარგლებში, ხოლო სოფლად — იმ რაიონის ფარგლებში, რომელშიც მყიდველი ცხოვრობს, განახორციელებენ სახელოსნოები ან მაღაზიები ისე, რომ მყიდველს არ გადაახდევინებენ ამ ნაკეთობათა გადაზიდვის ქირას. ამ ხარჯებს მაღაზიებს ან საგარანტიო რემონტის სახელოსნოებს აუნაზღაურებენ დამამზადებელი საწარმოები. ასეთი გადაზიდვა შეთანხმების მიხედვით შეიძლება მოხდეს მყიდველთა ხარჯზეც; ამ შემთხვევაში მათ აუნაზღაურდებათ გადაზიდვისათვის გაწეული ხარჯები ადგილებზე დაწესებული ტარიფების მიხედვით.

10. საგარანტიოვადიანი ნაკეთობანი, რომელთა დეფექტები წარმოიშვა იმის გამო, რომ მყიდველმა დაარღვია ნაკეთობის სარგებლობის ან შენახვის წესები, არ გამოიცვლება და საგარანტიო წესით არ შეკეთდება. ნაყიდ ნივთში დეფექტების წარმოშობის მიზეზების შესახებ მყიდველსა და საგარანტიო რემონტის სახელოსნოს შორის წამოჭრილი უთანხმოების დროს საბოლოო დასკვნას იძლევა სასაქონლო ექსპერტიზების ბიურო (გარდა მსუბუქი ავტომობილებისა, რომელთა გამო გადაწყვეტილებას მიიღებს საექსპერტო კომისია).

ექსპერტს იწვევს საგარანტიო რემონტის სახელოსნო. ექსპერტიზის ხარჯები გადახდება დამნაშავე მხარეს.

II. იმ სამრეწველო საქონლის გამოცვლის წესი, რომლისთვისაც დაწესებული არ არის საგარანტიო ვადები

11. მყიდველს, რომელმაც აღმოაჩინა დეფექტები მის მიერ ნაყიდ საქონელში, რომლისთვისაც დაწესებული არ არის საგარანტიო ვადები (ტანსაცმელი, ქსოვილები, ბეწვეული, ხალიჩები და სხვა), უფლება აქვს თავისი სურვილით ან გამოცვალოს ეს საქონელი ყიდვის ადგილზე 14 დღის განმავლობაში (ყიდვის დღის ჩაუთვლელად), ანდა მიიღოს ფულადი თანხა დაბრუნებული ნივთისათვის მის მიერ გადახდილი ფასის მიხედვით.

12. ცუდი ხარისხის საქონლის გამოცვლისას საქონელთან ერთად წარდგენილ უნდა იქნეს მაღაზიის საკასო ან სასაქონლო ჩეკი და საქონელზე მიკრული საფაბრიკო იარლიყი (თუ საქონელი ასეთი იარლიყით იყიდება).

ისეთი საქონლის გამოცვლა, რომელიც იყიდება სასაქონლო ან საკასო ჩეკის და საფაბრიკო იარლიყის გარეშე, წარმოებს მაღაზიის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით.

ადმინისტრაციის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს იმ სავაჭრო ორგანიზაციაში, რომელსაც მაღაზია ექვემდებარება.

13. მყიდველს უფლება ენიჭება 14 დღის განმავლობაში (ყიდვის დღის ჩაუთვლელად) გამოცვალოს მაღაზიაში ანალოგიური საქონელით მაღაზიაში შეძენილი კარგი ხარისხის ზედა შეკერილი და ტრიკოტაჟის ნაწარმი, ქუდები, ცალობრივი საფეიქრო ნაწარმი, ქალის ჩანთები და სხვა ნაწარმი, თუ ნაყიდი საქონელი მისთვის მიუღებელია ფორმის, ფასონის, ფერის ან ზომის მიხედვით. წინდები, თეთრეული და ქვეშაგები ამ საფუძველზე არ გამოიცვლება. გამოცვლა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მყიდველს ნივთი არ უხმარია, დაა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუნა დაუზიანებელი და გაუჭუჭყიანებელი სახით, ამასთან მას თან ახლავს საფაბრიკო იარლიყი და სასაქონლო ან საკასო ჩეკი, რომელიც მაღაზიამ განცალკევებულ საქონელთან ერთად.

14. თუ საქონელი იყიდება გამსვლელი ვაჭრობის წესით, მაღაზია ვალდებულია აღნიშნოს თითოეული გასაყიდი ნივთის იარლიყზე სავაჭრო საწარმოს დასახელება და მისამართი.

15. თუ ნაყიდ ნივთში აღმოჩნდა ფარული დეფექტები, რაც დადასტურებულია ლაბორატორიული ანალიზით ან სასაქონლო ექსპერტიზების ბიუროს მიერ, მყიდველს უფლება აქვს გამოცვალოს იგი მაღაზიაში 6 თვის განმავლობაში (საცალო სავაჭრო ქსელში ყიდვის დღიდან). ნივთს ლაბორატორიული ანალიზისათვის ან ექსპერტიზისათვის მაღაზია გზავნის იმ მომენტიდან 5 დღის ვადაში, რაც მყიდველისაგან მიიღო განცხადება ნივთის ცუდი ხარისხის შესახებ.

იმ საქონლისათვის, რომელშიც აღმოჩენილია ფარული დეფექტები, მაღაზია ნივთს გამოცვლის ან მყიდველს ფულს დაუბრუნებს იმ დროიდან სამი დღის ვადაში, რაც მიღებულ იქნა სასაქონლო ექსპერტიზის ბიუროს აქტი ან ლაბორატორიული ანალიზის შედეგები, რომლებიც ადასტურებენ ნივთის ცუდ ხარისხს.

16. სეზონური საქონლისათვის (ტანსაცმელი, ბეწვეული და სხვა ნაწარმი) პრეტენზიათა განცხადების ვადები გამოიანგარიშება რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს მიერ ადგილობრივი კლიმატური პირობების გათვალისწინებით განსაზღვრული შესაბამისი სეზონის დადგომის მომენტიდან.

III. ზოგადი დებულებანი

17. ამ წესებით გათვალისწინებული გამოცვლის პირობები და წესი ვრცელდება სამამულო და იმპორტულ საქონელზე, იმპორტული ავეჯის, ჩამოფასებული საქონლის, აგრეთვე საკომისიო მაღაზიებში ნაყიდი საქონლის გარდა.

საქონელი, რომლის საგარანტიო ვადა არ გასულა, უნდა გამოიცვალოს ან დაბრუნებულ იქნეს საერთო საფუძველზე იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ნაყიდია საკომისიო მაღაზიებში.

18. მაღაზიების მიერ მყიდველთაგან მიღებული ცუდი ხარისხის საქონელი დაუბრუნდება დამამზადებელ საწარმოს ან იმას, ვისაც იგი მიუთითებს. დამამზადებელი საწარმოსათვის ცუდი ხარისხის საქონლის დაბრუნება ხდება სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების დებულებით გათვალისწინებული წესით.

19. საქონლის გამოცვლას მაღაზიაში ამ წესების შესაბამისად დადგენილი წესის მიხედვით აწარმოებს განყოფილების, სექციის გამგე, ხოლო პატარა მაღაზიებში — მაღაზიის გამგე.

20. ფეხსაცმლისა და იმპორტული ავეჯის გამოცვლის წესი რეგულირებულია განსაკუთრებული წესებით.

21. ოქროს, პლატინისა და ვერცხლის ნაკეთობათა გამოცვლა და დაბრუნება არ ხდება.

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

22. საქონლის გამოცვლისა და ფულის გადახდის საკითხის გადაწყვეტისას აკრძალულია, რომ მყიდველს მოეთხოვოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა.

23. საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი საქონლის გამოცვლის წესები, მყიდველთა ინფორმაციის მიზნით, გამოფენილია მაღაზიების სავაჭრო დარბაზებსა და საგარანტიო რემონტის სახელოსნოებში.

24. საქონლის გამოცვლის წესების შესაბამისი ამონაწერები საქონლის დამამზადებელ საწარმოებს შეაქვთ ნაკეთობებზე თანდართულ დოკუმენტაციაში (პასპორტში, გარანტიაში, პროსპექტში).

ქ. მცხეთის სახ. საქ. სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარ-
რობის საცალო სავაჭრო ქსელში ნაყი-
დი სამრეწველო საქონლის გამოცვლის
წესების დანართი

ცნობა

ნაკეთობის დასახელება და ტიპი . . . . . .

შასის № . . . . . კინესკოპის № . . . . . .

გამოშვების თარიღი . . . . . შეძენის თარიღი . . . . . .

საგარანტიო № . . . . . .

ეკუთვნის მოქალაქე . . . . . .

მცხოვრებს . . . . . .

დამამზადებელი საწარმოს მისამართი და მისი საგადამხდელო რეკვიზიტები .

. . . . . ,

შეკეთებული იყო: . . . . . .

დასახელება დეტალებისა, რომლებიც სახელოსნოში არ მოიპოვება: . . .

. . . . . .

ცნობა მიეცა . . . . . .
(უწყების დასახელება, სახელოსნოს მისამართი)

უწესივრო ნაკეთობის ახლით შესაცვლელად.

შეცვლის მიზეზი . . . . . .

ბეჭდის ადგილი **საგარანტიო რემონტის სახელოსნოს**
გამგე

(ხელმოწერა)

„——“ ——————————— 197 წ.

რემონტების შესახებ ჩანაწერები ამ ცნობაში გაკეთდება სააღრიცხვო დოკუმენტაციის ჩანაწერების შესაბამისად.

რემონტების (შემოწმების) ჩაწერისას აღინიშნება, თუ რამდენ ხანს იყო ნაკეთობა შესაკეთებლად ან შესამოწმებლად.

შენიშვნა: ავტომობილების გამოსაცვლელად წარდგენილ უნდა იქნეს საექსპერტო კომისიის გადაწყვეტილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

28 გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ლიტერატურული პრემიის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 80 წლისთავის აღმნიშვნელი რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის წინადადება და ნება დაერთოს საქართველოს მწერალთა კავშირს საუკეთესო პოეტური ნაწარმოებისათვის დააწესოს გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ყოველწლიური ლიტერატურული პრემია.

2. გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემია განისაზღვროს 1.000 მანეთით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს წარმოადგინოს წინადადება პრემიის დაფინანსების წყაროს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 12 აპრილი, № 181

29 ხანგრძლივი სარგებლობის ცალკეული სამრეწველო საქონლის ნისიად გაყიდვის პირობების ზოგიერთი ცვლილების შესახებ

იმ მიზნით, რომ მოწესრიგდეს ხანგრძლივი სარგებლობის ზოგიერთი სამრეწველო საქონლის ნისიად ვაჭრობა და მუშა-მოსამსახურეებს შეექმნათ ამ საქონლის შეძენის ხელსაყრელი პირობები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნებადართულ იქნეს, როგორც გამონაკლისი, გაიყიდოს:

— 100 მანეთისა და მეტი ღირებულების „აურიკის", „ნალჩიკისა" და „ბელკის" მარკების სარეცხი მანქანები, „არაგაცისა" და „კასპიის" მარკების მაცივრები, სამამულო წარმოების ელექტროგასანათებელი აპარატურა (ჭაღები, საკიდელები, ტორშერები, ბრები), 100 მანეთისა და მეტი ღირებულების სამამულო წარმოების ავეჯი ისე, რომ ყიდვის მომენტში მყიდველს არ გადახდეს პირველი შესატანი და კრედიტის პროცენტები, ამასთან გადასახდელები განვადებულ იქნეს 12 თვის განმავლობაში თანაბარ ნაწილებად, მოყოლებული მომდევნო კალენდარული თვიდან;

— საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მიერ გამოშვებული პიანინოები ისე, რომ ყიდვის მომენტში მყიდველს არ გადახდეს პირველი შესატანი და კრედიტის პროცენტები, ამასთან გადასახდელები განვადებულ იქნეს 24 თვის განმავლობაში თანაბარ ნაწილებად, მოყოლებული მომდევნო კალენდარული თვიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრედიტით სარგებლობის პროცენტები ზემოაღნიშნული საქონლის მყიდ-ველებს გადახდეთ პირველი გადასახდელის შეტანასთან ერთად.

2. დაწესდეს, რომ:

— ნისიად გაყიდვა გადასახდელთა განვადებით 24 თვის განმავლობაში ხდება იმ თანხისათვის, რომელიც არ აღემატება მყიდველის ექვსი თვის ხელ-ფასს (პენსიას), იმის გათვალისწინებით, რომ მყიდველს უფლება აქვს ნაღდი ფულით აანაზღაუროს შესაძენი საქონლის ღირებულებისა და მიცემული კრე-დიტის თანხის სხვაობა საქონლის მიღებისას;

— 12 თვეზე მეტი ხნით გადასახდელის განვადებისას მყიდველს სავაჭრო ორგანიზაციის სასარგებლოდ გადახდება ფაქტიურად მიცემული კრედიტის ოდენობის 2,5 პროცენტი.

3. შეტანილ იქნეს შესაბამისი დამატებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 29 აპრილის № 252 დადგენილებით დამტკიცებულ ინს-ტრუქციაში სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის სავაჭრო საწარმოების მიერ მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მი-ყიდვის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 17 აპრილი, № 193

30 თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღ-მასკომის თბომეურნეობის სამმართველოს დებულების დამ-ტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი დებულება თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქა-ლაქო საბჭოს აღმასკომის თბომეურნეობის სამმართველოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

თბილისი, 1974 წლის 18 აპრილი, № 198

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1974 წლის 18 აპრილის № 198
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თბომეურნეობის სამმართველოს შესახებ

1. თბომეურნეობის სამმართველო ექვემდებარება როგორც თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოსა და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისევე საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს და იმყოფება დამოუკიდებელ სამეურნეო ანგარიშზე, არის სახელმწიფო სოციალისტური საწარმო და სარგებლობს ასეთი საწარმოს დებულებით გათვალისწინებული უფლებებით.

თბომეურნეობის სამმართველო არის იურიდიული პირი და აქვს გერბიანი ბეჭედი.

2. თბომეურნეობის სამმართველოს ძირითადი ამოცანები ის არის, რომ:

— სწორი ხელმძღვანელობა გაუწიოს საწარმოებს თბილი და ცხელი წყლით მოსახლეობის შეუფერხებელი მომარაგების უზრუნველსაყოფად, მაქსიმალურად განავითაროს მომხმარებელთა ცენტრალიზებული თბომომარაგება, უზრუნველყოს თბოსადგურებში, თბოპუნქტებში, მაგისტრალურ, შინაკვარტალურ და სახლებშიგა თბოქსელებში სარემონტო და გასამართავ სამუშაოთა დროული და ხარისხიანი შესრულება;

— განახორციელოს ღონისძიებანი თბოსადგურების, თბოპუნქტებისა და შინაკვარტალური თბოქსელების დანადგარების მუშაობის საიმედოობისა და ეკონომიურობის ამაღლების მიზნით; მოაწყოს მოწყობილობის ექსპლუატაცია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის წესების და ტექნიკური ექსპლუატაციის წესების შესაბამისად, უზრუნველყოს სითბოს წარმოებისა და რეალიზაციის თვითღირებულების შემცირება და შრომის ნაყოფიერების ამაღლება;

— ადმინისტრაციულ-სამეურნეო და ტექნიკური ხელმძღვანელობა გაუწიოს თბომეურნეობის სამმართველოს გამგებლობაში შემავალ ყველა საწარმოს;

— განახორციელოს ქალაქის თბომომარაგების გაუმჯობესების მიზნით მიმდინარე და კაპიტალური რემონტი თბოსადგურებში, თბოპუნქტებში, მაგისტრალურ, შინაკვარტალურ და სახლებშიგა თბოქსელებში, აგრეთვე სხვა ორგანიზაციათა ორთქლძალურ დანადგარებზე, რომლებიც სითბოს იღებენ თბომეურნეობის სამმართველოს საქვეუწყებო თბოსადგურებისაგან, უზრუნველყოს თბომეურნეობის სამმართველოს ქსელების მშენებლობა და რეკონსტრუქცია გეგმების შესაბამისად;

№ 2 ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეიმუშაოს და შეადგინოს დადგენილი წესით სითბოს გამომუშავებისა და მომხმარებელთათვის მიწოდების, მოწყობილობისა და ნაგებობათა კაპიტალური და მიმდინარე რემონტის, შინაკვარტალური და სახლებშიგა თბოქსელების ექსპლუატაციის, პროფილაქტიკური და ტექნიკური მომსახურების წლიური, კვარტალური და თვიური გეგმები;

— შეიმუშაოს რეკონსტრუქციის გეგმები არსებული თბოსადგურებისა და თბოქსელების გაფართოებისას;

— დაამტკიცოს ტექნიკური დავალებანი და განახორციელოს კონტროლი ახლადმშენებარე და სარეკონსტრუქციო თბოსადგურებისა და თბოქსელების დაპროექტებისადმი;

— შეიმუშაოს წლიური, კვარტალური და თვიური გეგმები, განახორციელოს ტექნიკური ღონისძიებანი მომხმარებელთა თბომომარაგების საიმედოობისა და ეკონომიურობის ამაღლების მიზნით, დაამტკიცოს ისინი საწარმოების მიხედვით და სისტემატური კონტროლი გაუწიოს ამ ღონისძიებათა განხორციელებას;

— მონაწილეობა მიიღოს ქ. თბილისის თბომომარაგების განვითარების პერსპექტიული გეგმების შემუშავებაში;

— მოაწყოს საწარმოების მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრება მოწყობილობის უკეთ გამოყენებისათვის, მომხმარებელთა შეუფერხებელი თბომომარაგებისა და გამომუშავებული და გაცემული 1 გიგაკალორია სითბოს, ელექტროენერგიისა და წყლის ხარჯვის ხვედრითი ნორმების შემცირებისათვის;

— უზრუნველყოს პერსონალის პრემირება მუშაობაში საუკეთესო მაჩვენებლების მიღწევისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

— კონტროლი გაუწიოს სითბური დანადგარებისა და მოწყობილობის მიწოდებას და საწარმოებში მათი პასპორტიზაციის ჩატარებას, აგრეთვე თბოსადგურებისა და თბოქსელების მუშაობის აღრიცხვას და ანგარიშგებას სახელმძღვანელო მითითებათა შესაბამისად;

— მოაწყოს საწარმოების მომსახურე პერსონალის ტექნიკური სწავლება თბოსადგურებში, თბოქსელებში და სხვა საწარმოო უბნებზე;

— დანერგოს რაციონალიზატორული წინადადებანი, გამოგონებანი, მოწინავე ტექნიკის მიღწევები და ორთქლძალურ დანადგართა ავტომატიზაცია;

— განახორციელოს სამმართველოს სისტემაში შემავალი ყველა ობიექტის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება;

— განახორციელოს შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის ღონისძიებანი.

3. თბომეურნეობის სამმართველო:

— გადარიცხავს ძირითადი ფონდის აღსადგენად საამორტიზაციო სახსრებს, რომლებიც ხმარდება კაპიტალურ რემონტს, წარმოების მოდერნიზაციას, საჭირო დეტალებისა და მოწყობილობის შეძენას, საწარმოთა ძირითადი ფონდების განვითარებისათვის კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებას;

— ახორციელებს ახალ მშენებლობას, რეკონსტრუქციასა და კაპიტალურ რემონტს, ახალ სიმძლავრეთა საექსპლუატაციოდ გადაცემას დამტკიცებული სატიტულო სიებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის თანახმად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაციონალურად იყენებს ტექნიკას, წარმოების მექანიზაციისა და მატერიალური მომარაგების საშუალებებს, წარუდგენს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს გეგმის შესაბამისად საექსპლუატაციო მიზნებისათვის, მშენებლობისა და კაპიტალური რემონტის საჭიროებისათვის განკუთვნილი მექანიზმების, მასალებისა და მოწყობილობის დასაბუთებულ განაცხადებს. ქმნის მასალებისა და მოწყობილობის მარაგს საწარმოს რიტმული მუშაობის უზრუნველსაყოფად დაწესებული ნორმატივის ფარგლებში;

— უზრუნველყოფს სახსრების მაქსიმალურ მომჭირნეობას წარმოების დაფინანსების წყაროების სწორი გამოყენების გზით, აწყობს სწორ საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვას და წარუდგენს მასალებს მისი შედეგების შესახებ ზემდგომ ორგანოებს დადგენილ ვადებში;

— ანაწილებს დადგენილი წესით საკუთარ საბრუნავ სახსრებს დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფ საქვეუწყებო ორგანიზაციათა შორის;

— აწარმოებს ოპერაციებს სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში სახელმწიფო საწარმოთა ურთიერთანგარიშსწორების წესის შესაბამისად;

— აწყობს საწარმოთა კოლექტივებისა და ცალკეული ბრიგადების სოციალისტურ შეჯიბრებას, აჯამებს მის შედეგებს და აჯილდოებს გამარჯვებულებს.

4. სამმართველოს სათავეში უდგას სამმართველოს უფროსი.

5. თბომეურნეობის სამმართველოს უფროსი:

— ხელმძღვანელობს წარმოებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის გადაწყვეტას, პასუხს აგებს წარმოების მდგომარეობისათვის, გეგმის შესრულებისათვის, კადრების შერჩევისა და შრომის კანონმდებლობის სწორად გამოყენებისათვის;

— ამტკიცებს საწარმოო-საფინანსო გეგმებსა და პერსპექტიულ გეგმათა პროექტებს, ანაწილებს ლიმიტებს საქვეუწყებო და სამეურნეო ანგარიშზე მყოფ ორგანიზაციებს შორის, აძლევს მათ წლიურ და კვარტალურ გეგმებს და ხელმძღვანელობს მათ მუშაობას;

— შრომის კანონმდებლობის შესაბამისად ნიშნავს სამუშაოზე და ათავისუფლებს სამუშაოდან ბრძანებით მუშებსა და მოსამსახურეებს;

— ხელს აწერს მინდობილობებს მატერიალურ ფასეულობათა მისაღებად, ანგარიშებს საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულების შესახებ და საბუღალტრო ბალანსებს;

— ჩამოსწერს ბალანსიდან დადგენილი წესით მოძველებულ მოწყობილობას, სატრანსპორტო საშუალებებს, ინსტრუმენტებსა და ინვენტარს, რეკონსტრუქციასთან ან ახალი ობიექტების მშენებლობასთან დაკავშირებით ასაღებ შენობა-ნაგებობებს;

— ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით ჩამოსწერს ზარალად დადგენილი წესით უიმედო დებიტორულ დავალიანებას, რომლის გადახდევინების ვადები უკვე გასულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

31 კურორტ ლებარდეს შემოგარენისა და სამთო-სანიტარიული დაცვის ზონების საზღვრების და სანიტარიულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს კურორტ ლებარდეს შემოგარენისა და სამთო-სანიტარიული დაცვის ზონების საზღვრები, რომელთა აღწერილობა წარმოადგინა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, № 1 დანართის თანახმად.

2. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ გეგეჭკორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან ერთად ყოველწლიურად გაითვალისწინოს სახალხო-სამეურნეო გეგმებში სახსრების გამოყოფა სანიტარიულ-გამაჯანსაღებელ და ტექნიკურ ღონისძიებათა განსახორციელებლად, № 2 დანართის თანახმად.

3. დაეკისროთ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტს სისტემატური კონტროლი სანიტარიულ ზონებში დაწესებული რეჟიმის დაცვისადმი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 18 აპრილი № 205

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1974 წლის 18 აპრილის № 205
დადგენილების დანართი № 1

კურორტ ლებარდეს შემოგარენისა და სამთო-სანიტარიული დაცვის ზონების საზღვრები

შემოგარენის პირველი ზონა:

პირველი ზონის პირველი (ქვემო) უბანი:

ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი იწყება ა საჩვენებელი წერტილიდან, მიდის სამხრეთ-აღმოსავლეთი მიმართულებით მდინარე ლებარდეს მარცხენა ნაპირის გაყოლებით ბ წერტილამდე, შემდეგ აღმოსავლეთისაკენ 1655 ჰორიზონტალის გაყოლებით გრძელდება ბ წერტილამდე. ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვრის სიგრძეა 590 მეტრი.

სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი იწყება ბ წერტილთან, მიდის სამხრეთ-დასავლეთისაკენ თითქმის სწორი მიმართულებით და მთავრდება დ წერტილთან. სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვრის სიგრძეა 900 მეტრი.

ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი იწყება დ წერტილთან, ჰკვეთს მდინარე ლებარდეს (გადადის მარჯვენა ნაპირზე), მიდის ჩრდილო-აღმოსავლეთი მიმართულებით, ჰკვეთს ხევს ე წერტილთან და გრძელდება ჩრდილოეთისაკენ, შემოფარგლავს კურორტის განაშენიანებულ ნაწილს სამხრეთ-აღმოსავლეთით, მიემართება ჩრდილოეთისაკენ, ჰკვეთს მდინარე ლებარდეს და უერთდება ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარს ა წერტილთან. ჩრდილო-დასავლეთი საზღვრის სიგრძეა 960 მეტრი. პირველი ზონის პირველი უბნის საზღვრების საერთო სიგრძეა 2450 მეტრი, ტერიტორიის ფართობი — 16 ჰექტარი.

პირველი ზონის მეორე (ზემო) უბანი (ზემო წყაროების უბანი) შემოფარგლულია კურორტ ლებარდეს გარეუბნის ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც მდინარე ლებარდე იტოტება, და მოიცავს მინერალური წყლის უმნიშვნელო წყაროებს.

ჩრდილოეთი საზღვარი იწყება ა საჩვენებელი წერტილიდან, მიდის აღმოსავლეთისაკენ 1770 ჰორიზონტალის გაყოლებით და მთავრდება ბ წერტილთან. ჩრდილოეთის საზღვრის სიგრძეა 100 მეტრი.

აღმოსავლეთი საზღვარი იწყება ბ წერტილთან, რკალისებრ მიემართება სამხრეთისაკენ ფერდობის გაყოლებით და მთავრდება ბ წერტილთან. აღმოსავლეთი საზღვრის სიგრძეა 200 მეტრი.

სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი იწყება ბ წერტილთან, ჰკვეთს მდინარე ლებარდეს, მიემართება ჯერ ჩრდილო-დასავლეთისაკენ, შემდეგ კი ჩრდილოეთისაკენ, ჰკვეთს მდინარე ლებარდეს დასავლეთ შენაკადს და უერთდება ჩრდილოეთ საზღვარს ა წერტილთან. სამხრეთ-დასავლეთი საზღვრის სიგრძეა 230 მეტრი. პირველი ზონის მეორე უბნის საზღვრების საერთო სიგრძეა 530 მეტრი. ტერიტორიის ფართობი — 1,4 ჰექტარი.

პირველი ზონის ორივე უბნის საერთო ფართობი შეადგენს 17,4 ჰექტარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოგარენის მეორე ზონა:

ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი იწყება 2296,2 მ. სიმაღლის ნიშნულთან, მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ წყალგამყოფი ქედის გაყოლებით, გაივლის 2256,9 მ. სიმაღლის ნიშნულს და მთავრდება დიურისთავის მთასთან 2675 მ. სიმაღლის ნიშნულთან. ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვრის სიგრძეა 6,3 კილომეტრი.

აღმოსავლეთი საზღვარი იწყება დიურისთავის მთასთან, მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ წყალგამყოფი ქედის გაყოლებით ა წერტილამდე. აღმოსავლეთი საზღვრის სიგრძეა 3,8 კილომეტრი.

სამხრეთი საზღვარი იწყება წყალგამყოფ ქედზე ა წერტილთან, მიემართება დასავლეთისაკენ მდინარე ლებარდეს ერთ-ერთი შენაკადის, შემდეგ მდინარე ლებარდეს გაყოლებით და მთავრდება მდინარე ტეხურის შესართავთან. სამხრეთი საზღვრის სიგრძეა 8 კილომეტრი.

დასავლეთი საზღვარი იწყება იმ ადგილიდან, სადაც მდინარე ლებარდე ერთვის მდინარე ტეხურს, მიუყვება წყალგამყოფს ჩრდილოეთისაკენ, და უერთდება ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარს 2296.2 მ სიმაღლის ნიშნულთან. დასავლეთი საზღვრის სიგრძეა 5 კილომეტრი. სანიტარიული დაცვის მეორე ზონის საზღვრების საერთო სიგრძეა 23,1 კილომეტრი, ტერიტორიის ფართობი — დაახლოებით 20 კვადრატული კილომეტრი.

შემოგარენის მესამე ზონა:

ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი იწყება ტეხურისთავის მთასთან 3009 მ. სიმაღლის ნიშნულთან, მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ წყალგამყოფი ქედის გაყოლებით, გაივლის 2895,4 მ., 2296 მ. და 2256,9 მ. სიმაღლის ნიშნულებს და მთავრდება დიურისთავის მთასთან 2675 მ. ნიშნულზე. ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვრის სიგრძეა 13,5 კილომეტრი.

აღმოსავლეთი საზღვარი იწყება დიურისთავთან, მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ წყალგამყოფი ქედის გაყოლებით, შემდეგ სამხრეთი მიმართულებით გაივლის ბუცხიდის მთას 2610,8 მ. სიმაღლის ნიშნულით, მიუყვება ტებუხონეს ქედის თხემს და მთავრდება 2460,2 მ. სიმაღლის ნიშნულთან. ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვრის სიგრძეა 10,5 კილომეტრი.

სამხრეთი საზღვარი იწყება 2460,2 მ. სიმაღლის ნიშნულთან, მიემართება სამხრეთ-დასავლეთისაკენ წყალგამყოფი ქედის გაყოლებით, გაივლის შკვითელელამის მთას 2065 მ. სიმაღლის ნიშნულით, ჰკვეთს მდინარე ტეხურს მდინარე წიფროღელეს სამხრეთით, შემდეგ მიემართება ჩრდილო-დასავლეთისაკენ და მთავრდება ლეკუსელის მთასთან 2250,3 მ. სიმაღლის ნიშნულით. სამხრეთი საზღვრის სიგრძეა 14,7 კილომეტრი.

დასავლეთი საზღვარი იწყება ლეკუსელის მთასთან, მიემართება სამხრეთ-დასავლეთისაკენ წყალგამყოფი ქედის გაყოლებით მდინარე ნატოლებამდე 2309,7 მ. სიმაღლის ნიშნულთან, ხოლო შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთი მიმართულებით გაივლის ბეახუნაბის მთას 2750,6 მ. სიმაღლის ნიშნულით,

მოძველებული ბიბლიოთეკა

2777,7 მ. და 2499,5 მ. სიმაღლის ნიშნულებს და უერთდება ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარს ტეხურისთავის მთასთან. დასავლეთი საზღვრის სიგრძეა 14,3 კილომეტრი. სანიტარიული დაცვის მესამე ზონის საზღვრების საერთო სიგრძეა 53 კილომეტრი, ტერიტორიის ფართობი — დაახლოებით 140 კვადრატული კილომეტრი. მესამე ზონის საზღვარი ამავე დროს წარმოადგენს შემოგარენის საზღვარს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1974 წლის 18 აპრილის № 123
დადგენილების დანართი № 2

კურორტ ლებარდეში განსახორციელებელი სანიტარიულ-გამაჯანსაღებელი და ტექნიკური ღონისძიებანი

1. კურორტის დაგეგმარების ტექნიკური პროექტის შემუშავება.

2. ქუჩებისა და შიგასაკურორტო ბილიკების კეთილმოწყობა.

3. კურორტის მიდამოების, შიგასაკურორტო შოედნების, სკოლებისა და მდინარე ლებარდეს ნაპირების კეთილმოწყობისა და გამწვანების პროექტის შედგენა და მისი თანამიმდევრული განხორციელება.

4. სამეურნეო ნაგვის აღებისა და ამ მიზნით სპეციალურად გამოყოფილ ნაგავსაყრელებზე მისი გაზიდვის სქემის შემუშავება.

5. შთანმთქმელ ორმოებზე აგებული საპირფარეშოების ლიკვიდაცია (საერთო-საკურორტო კანალიზაციის გაყვანამდე), მათ ნაცვლად ახალი საპირფარეშოების მშენებლობა ამოთხრილ ორმოებზე და სიბინძურის გატანა.

6. სანიტარიული დაცვის არსებული წესების შესაბამისად სასმელი წყლის მომარაგებისა და წყალსადენის სათავე ნაგებობის სანიტარიული დაცვის ზონის პროექტის შედგენა და ღონისძიებათა განხორციელება.

7. საწმენდი ნაგებობებით აღჭურვილი კანალიზაციის პროექტის შედგენა და მშენებლობა იმის გათვალისწინებით, რომ ჩამდინარე საწმენდი წყლები ჩაშვებულ იქნეს მდინარე ლებარდეში კურორტიდან 2,0-3,0 კილომეტრ მანძილზე.

8. თოვლის ზვავების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა დაპროექტება და განხორციელება, უპირველეს ყოვლისა ზვავის ხრამის უბანზე.

9. ჰიდროგეოლოგიურ საზვერ სამუშაოთა განხორციელება.

10. ჰიდროგეოლოგიურ საზვერ სამუშაოთა განხორციელებამდე № 1, 2 და 3 წყაროების კაპტაჟისა და ბიუვეტების რეკონსტრუქცია, წყაროების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, რათა დამსვენებლებმა ისარგებლონ მინერალური წყლით.

11. კურორტის ტერიტორიიდან ზედაპირული, ჩამდინარე და გრუნტის წყლების გადაგდების სამუშაოთა განხორციელება.

12. მავნებელთაგან ტყის მასივების დაცვის ღონისძიებათა განხორციელება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

32 თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მშენებლობისა და საბაღო-საპარკო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

მიღებულ იქნეს საქართველოს კპ თბილისის კომიტეტისა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინადადება, შეთანხმებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტთან, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სახმშენთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, რომ:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თბილისის სატყეო მეურნეობის ის სატყეოები, რომლებიც მოქცეულია ქ. თბილისის საზღვრებში, აგრეთვე თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ახლად შექმნილი მწვანე მშენებლობისა და საბაღო-საპარკო მეურნეობის საწარმოო სამმართველო თავიანთ საქმიანობაში დაექვემდებარონ როგორც თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, ისე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს. ზემოაღნიშნული სატყეოები დარჩეს სახელმწიფო ტყის ფონდში.

2. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მშენებლობისა და საბაღო-საპარკო მეურნეობის საწარმოო სამმართველოში გაერთიანდნენ: ქ. თბილისის გამწვანების ტრესტის საბაზისო სანერგე, სამშენებლო-სარემონტო ორგანიზაცია, მცენარეთა დაცვის სადგური, „ყვავილვაჭრობა“, რაიონული კანტორები და ავტოსატრანსპორტო მეურნეობა.

3. საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს დიღმის საბჭოთა მეურნეობის ლისის განყოფილება გადაეცეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს სანერგე მეურნეობის შესაქმნელად.

დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმოადგინოს მასალები დადგენილი წესით მიწის გამოყოფის შესახებ, ხოლო აღნიშნული განყოფილების გადაცემის შემდეგ ის ნაკვეთები, რომლებიც შედის ქ. თბილისის გამწვანების ტრესტის გამგებლობაში და მდებარეობენ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში, დაუბრუნდეს იმ მიწათმოსარგებლეებს, ვისგანაცაა გამოყოფილი ეს მიწები, გარდა იმ ნაკვეთებისა, რომლებიც ლაგოდეხისა და მცხეთის რაიონებში მდებარეობს.

4. საქართველოს სსრ სახმშენმა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ერთად დააწესოს მახათის მთის, კუს ტბის, ლისის ტბის, თბილისის ზღვის გარშემო, მდინარე ვერის ხეობაში, ვარაზის ხევში, გლდანსა და დიღომში მწვანე მასივებისა და დასვენების ზონების მოწყობის დაპროექტებისა და მშენებლობის ვადები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. დაევალოს საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ერთად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება მწვანე მშენებლობისა და საბაღო-საპარკო მეურნეობის საწარმოო სამმართველოსათვის საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ერთ-ერთი რენტაბელური სანერგე მეურნეობის გადაცემის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 19 აპრილი, № 207

33 აფხაზეთის სახალხო პოეტის დ. ი. გულიას სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

აფხაზეთის სახალხო პოეტის დ. ი. გულიას დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით დაწესდეს მისი სახელობის ერთი სტიპენდია 65 მანეთის ოდენობით სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის წარჩინებული სტუდენტისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 29 აპრილი, № 216

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინდექსი — 76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 2 за 1974 год.

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/VIII-74 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16.
საბეჭდი თაბახი 2, სააღრიცხვო თაბახი 2

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

შეკვეთა № 648 უე 05783 ტირაჟი 2100

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
თბილისი, რუსთაველის გამზირი № 8.

68/161

ეროვნული
ბიბლიოთეკა